

უკ 348.96: 222.1: 347.62

ქორწინების წესი მოსეს რჯულის მიხედვით. საქორწინო ხელშეკრულება.

ია ხახუბია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

მოსეს რჯულის მიხედვით, ქორწინება ძალაში შესულად ითვლება მას შემდეგ, როცა მამაკაცი მოწმეთა თანდასწრებით ქალს საქორწინო ბეჭედს გადასცემს და ხმამაღლა განაცხადებს: “ამიერიდან ამ ბეჭედით მე მეძღვნება შენი თავი, მოსესა და ისრაელის კანონით”. ქალის მიერ ბეჭედის მიღება, ქორწინებაზე თანხმობას ნიშნავს. ამ მომენტიდან ქალი გათხოვილად ითვლება, მისი სტატუსიდან გამომდინარე, უფლებებისა და მოვალეობის ჩათვლით - ქალისათვის საჩუქრის გადაცემას, რომლის ძალითაც ქორწინება ძალაში შედის, “ერუსინი” (ნიშნობა) ეწოდება.

რიტუალურად, ბეჭედის გადაცემამდე ორი კურთხევა წარმოითქმება: “ვითარცა ვენახი, მსხმოი კიდეთა სახლისა შენისათა” და “... საღვთო მცნებებით ჩვენი განმწმენდელი ...”

ბეჭედის გადაცემის შემდეგ, საქორწინო ხელშეკრულება - “ქტუბა” იკითხება, სადაც ცოლის მიმართ ნაკისრი ვალდებულებებია ჩამოთვლილი, რომელთა შესრულებაც ქმარს ევალება.

ძველ დროს, ქმრის ოჯახში ქალი ნიშნობიდან ერთი წლის შემდეგ მიდიოდა. ეს დაკავშირებული იყო საქმროს ვალდებულებასთან: ყველაფერში თადარიგი დაეჭირა და ცოლის სახლში მიყვანამდე, ყველა საჭირო და აუცილებელი ნივთი შეეძინა. ქალი ნიშნობის შემდეგ გათხოვილად ითვლებოდა, თუმცა, ქონებრივი ვალდებულებები მის მიმართ, ძალაში მხოლოდ ქმრის სახლში გადასვლის შემდეგ შედიოდა. XVI საუკუნეში “თორის” ავტორიტეტულ პირთა უმრავლესობამ ნიშნობის და ფაქტობრივი ქორწინების ერთწლიანი ვადა გაუქმებულად სცნო და ეს ორი მოვლენა, დროის მყისიერ ინტერვალში მოაქცია. ამის შემდგომ ბეჭედის ფანჩატურში გადაცემის ტრადიცია უფრო გამყარდა.

რა სახისა იყო საქორწინო ხელშეკრულება - “ქტუბა” და როგორი პირობები იყო მასში გათვალისწინებული?! საქორწინო ხელშეკრულება, რომელშიც ქმრის ცოლისადმი ვალდებულებებია ჩამოთვლილი, ქორწილამდე რამდენიმე ხნით ადრე იწერებოდა. მას თავად საქმრო ადგენდა, რამდენიმე მოწმის თანდასწრებით. ხელშეკრულება საქმროს მიერ იყო ხელმოწერილი და ამდენად, მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენდა. მისი პირობების გაცნობა ბეჭედის გადაცემისთანავე ხდებოდა, რის შემდეგაც საქმრო, ტრადიციისამებრ, ამტკრევადა რაიმე სასმისს და ახალგაზრდა წყვილი მილოცვებს ღებულობდა. ძვ.წ.აღ.ით I საუკუნეში შიმონ ბენ შეტახმა შემოიღო ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ეს დოკუმენტი - “ქტუბა”, ცოლს გადაეცემოდა და მასთანვე ინახებოდა. ამ ხელშეკრულების ძირითადი მიზანი იყო ქალის უფლებების დაცვა იმ შემთხვევისთვის, თუკი ქალი დაქვრივდებოდა, ან ქმარი მასთან განქორწინებას გადაწყვეტდა.

საკვანძო სიტყვები: სჯული, კანონი, ნიშნობა, ქორწინება, ხელშეკრულება.

ყველა ერის კულტურა, მისი ტრადიციების ანარეკლია. რაც უფრო ძველია ერის ტრადიცია, მით მეტად ძვირფასი და ღირებულია მისი კულტურა. ტრადიციებს შორის კი უძველესია ქორწინება. სწორედ ქორწინების რიტუალურ-ფსიქოლოგიური ასპექტი

განსაზღვრავს ერის განვითარების დონეს. ამ მხრივ უდიდეს ყურადღებას იმსახურებს ქორწინების ინსტიტუტი ძველებრალ კანონმდებლობაში.

მოსეს რჯულში ქორწინება გალიხილება როგორც ხელშეკრულება, დადებული ქალსა და მამაკაცს შორის, რომელიც სიწმინდის ელფერს ღებულობს. მას შემდეგ, რაც მამაკაცი ქალს რაიმე ნივთს მიუძღვნის(როგორც წესი, ეს ბეჭედი), რომელიც ხდება ნიშანი მასთან შერწყმისა და ერთობისა, ქალი ამ ძღვენის მიხედვით თანხმობას გამოხატავს და ეს კავშირი უკვე სიწმინდის მატარებელად ითვლება, რომლის დარღვევაც არა მხოლოდ ადამიანის წინაშე ჩადენილ დანაშაულად აღიქმება, არამედ ეს არის დანაშაული უფლის წინაშე. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მეცნიერთა აზრით ნიშნობის ბეჭედი, თავისი წარმოშობით, პირველყოფილი საზოგადოების პერიოდში ქალის მოტაცების ტრადიციას უკავშირდება. გ.კულიშერის მოსაზრებით საქორწინო რგოლი იმ ჯაჭვის მონარჩენია, რომლითაც უძველეს დროში, მოტაცების შემდეგ საპატარძლოს აბამდნენ ხოლმე. მოგვიანებით ჯაჭვის მონარჩენმა, ანუ საქორწინო რგოლმა, სიმბოლური დატვირთვა მიიღო და იგი გახდა გარეგნული გამოხატულება, რომელიც გათხოვილ ქალს გასათხოვარი ქალიშვილისგან გამოარჩევდა ტრადიციიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ თავდაპირველად საქორწინო ბეჭედს ქალები ატარებენ, მამაკაცებმა მისი ტარება კი მოგვიანებით დაიწყეს, რაც ქალის მამაკაცთან გათანაბრების პრეტენზიაზე მიუთითებდა.

მოსეს რჯულის მიხედვით, ქორწინება ძალაში შესულად ითვლება მას შემდეგ, როცა მამაკაცი მოწმეთა თანდასწრებით ქალს საქორწინო ბეჭედს გადასცემს და ხმამაღლა განაცხადებს: “ამიერიდან ამ ბეჭედით მე მეძღვნება შენი თავი, მოსესა და ისრაელის კანონით”. ქალის მიერ ბეჭდის მიღება, ქორწინებაზე თანხმობას ნიშნავს. ამ მომენტიდან ქალი გათხოვილად ითვლება, მისი სტატუსიდან გამომდინარე, უფლებებისა და მოვალეობის ჩათვლით - ქალისათვის საჩუქრის გადაცემას, რომლის ძალითაც ქორწინება ძალაში შედის, “ერუსინი” (ნიშნობა) ეწოდება. ისრაელის ყველა ტომში არსებული ტრადიციის მიხედვით, საქმრო საცოლეს ბეჭედს სქელი ქსოვილისგან გადახურულ ფანჩატურში მიაართმევს. ეს ტერიტორია საქმროს სამფლობელოდ ითვლება, სადაც მას თავისი დანიშნული მიჰყავს. ბეჭდის გადაცემას ფანჩატურში (და არა დახურულ შენობაში, ან ღიაცის ქვეშ) “კიდუშინი” (განწმენდა, ან მეორე მნიშვნელობით ქალის მამაკაცისადმი მიკუთვნება) ეწოდება. ეს ორი განმარტება, თითქოს ურთიერთკავშირში არ იმყოფება, მაგრამ ვინაიდან ქორწინება მეტად რთული სოციალური მოვლენაა, აქ ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული სულიერი და მატერიალური ღირებულებები. ამიტომ, სწორედაც რომ უპირანია სიტყვა “კიდუშინი”, რაც ივრითზე ნიშნავს როგორც “განწმენდას”, ასევე “მიკუთვნებას” (ქალისა მამაკაცის მიმართ). პირველი მნიშვნელობის მიხედვით, ქორწინების ძალით, ქალისა და მამაკაცის ურთიერთშერწყმა სიწმინდის მატარებელია, განმწმენდელია ფიზიკური სიახლოვისა. მათი კავშირი წმინდაა და შეურყვნიელი. ხოლო ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობა - მიძღვნა, ნიშნავს იმას, რომ ქალი ქმრისადმი მიკუთვნებულად, ანუ გათხოვილად ითვლება.

რიტუალურად, ბეჭდის გადაცემამდე ორი კურთხევა წარმოითქმება: “ვითარცა ვენახი, მსხმოი კიდეთა სახლისა შენისათა” და “... საღვთო მცნებებით ჩვენი განმწმენდელი ...”

ბეჭდის გადაცემის შემდეგ, საქორწინო ხელშეკრულება - “ქტუბა” იკითხება, სადაც ცოლის მიმართ ნაკისრი ვალდებულებებია ჩამოთვლილი, რომელთა შესრულებაც ქმარს ევალება. “ქტუბის” გაცნობასთანავე ახალგაზრდა წყვილს 7 ლოცვა-კურთხევა ეკითხება.

ძველ დროს, ქმრის ოჯახში ქალი ნიშნობიდან ერთი წლის შემდეგ მიდიოდა. ეს დაკავშირებული იყო საქმროს ვალდებულებასთან, ყველაფერში თადარიგი დაეჭირა და ცოლის სახლში მიყვანამდე, ყველა საჭირო და აუცილებელი ნივთი შეეძინა. ქალი ნიშნობის შემდეგ გათხოვილად ითვლებოდა, თუმცა, ქონებრივი ვალდებულებები მის მიმართ, ძალაში მხოლოდ ქმრის სახლში გადასვლის შემდეგ შედიოდა. XVI საუკუნეში “თორის” ავტორიტეტულ პირთა უმრავლესობამ, ნიშნობის და ფაქტობრივი ქორწინების ერთწლიანი ვადა გაუქმებულად სცნო და ეს ორი მოვლენა, დროის მყისიერ ინტერვალში მოაქცია. ამის შემდგომ ბეჭდის ფანჩატურში გადაცემის ტრადიცია უფრო გამყარდა.

საქორწინო ტრაპეზის დროს, ნეფე-დედოფლის გამხიარულება ნებისმიერი ებრაელისთვის მოვალეობასაც კი წარმოადგენდა. იგი ამქვეყნიერი განსახიერება იყო ზეციურ სამყაროში არსებული ზეიმისა, როდესაც კაცი თავის მეორე ნახევარს პოულობს. ტრაპეზის შემდეგ, ლოცვის დროს წარმოითქმებოდა: “კურთხეულია უფალი, სიხარულის მომნიჭებელი, რომლის ნაყოფიც ჩვენ ვიხმეთ... “ ნებისმიერ სადღესასწაულო წუთებში, სუფრაზე, ყოველთვის ფიგურირებდა ღვინო. სწორედ ღვინის კურთხევით იწყებოდა ქორწილის ცერემონია, რომლის დროსაც, ნეფე-დედოფალი ერთი სასმისიდან მოსვამდნენ ღვინოს. მხოლოდ ამის შემდეგ წამოაცვამდა საქმრო თავის საცოლეს ბეჭედს და ეტყოდა: “ამიერიდან, ამ ბეჭდით მე მეძღვნება შენი თავი, მოსესა და ისრაელის კანონით”. ბეჭდის ნიშნად მიჩნევა, ძველი წელთაღრიცხვის დასასრულიდან მომდინარეობს, ხოლო თავად სიტყვები, ორი ათასწლეულზე მეტია, რაც წარმოითქმის. სწორედ ამ ფრაზით მტკიცდება, რომ ქორწინებით, მხოლოდ ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრების სურვილი კი არ გაცხადდებოდა, არამედ ისიც, რომ ახალი ოჯახი, მოსეს კანონების განუხრელი დამცველი უნდა გამხდარიყო, კანონებისა, რომელიც უფალმა მოსეს სინას მთაზე გამოუცხადა.

რა სახისა იყო საქორწინო ხელშეკრულება - “ქტუბა” და როგორი პირობები იყო მასში გათვალისწინებული?! საქორწინო ხელშეკრულება, რომელშიც ქმრის ცოლისადმი ვალდებულებებია ჩამოთვლილი, ქორწილამდე რამდენიმე ხნით ადრე იწერებოდა. მას თავად საქმრო ადგენდა, რამდენიმე მოწმის თანდასწრებით. ხელშეკრულება საქმროს მიერ იყო ხელმოწერილი და ამდენად, მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენდა. მისი პირობების გაცნობა ბეჭდის გადაცემისთანავე ხდებოდა, რის შემდეგაც საქმრო, ტრადიციისამებრ, ამტვრევდა რაიმე სასმისს და ახალგაზრდა წყვილი მილოცვებს ღებულობდა. ძვ.წ.ად.ით I საუკუნეში შიმონ ბენ შეტახმა შემოიღო ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ეს დოკუმენტი - “ქტუბა”, ცოლს გადაეცემოდა და მასთანვე ინახებოდა. ამ ხელშეკრულების ძირითადი მიზანი იყო ქალის უფლებების დაცვა იმ შემთხვევისთვის, თუკი ქალი დაქვრივდებოდა, ან ქმარი მასთან განქორწინებას გადაწყვეტდა.

საქორწინო ხელშეკრულებას, იურიდიული თვალსაზრისით, რამდენიმე დატვირთვა ჰქონდა:

1. იყო ქორწინების ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
2. განსაზღვრავდა ქმრის ცოლისადმი ვალდებულებებს;

არეგულირებდა ქონებრივ ურთიერთობებს ქალის დაქვრივების, ან განქორწინების შემთხვევაში.

“ქტუბაში” ნათქვამი იყო, რომ ამა და ამ დღეს, აქა და აქ, სასიძომ (სახელი) ისურვა ეთქვა საცოლესთვის (სახელი) შემდეგი სიტყვები: “გამომყევი ცოლად, მოსესა და ისრაელის სახელით. მე ვიმუშავებ შენთვის, პატივს გცემ და უზრუნველგყოფ ყველა იმ აუცილებელით, როგორც უზრუნველყოფენ ისრაელიანი მამაკაცები თავიანთ ცოლებს, რომლებიც მუშაობენ მათთვის, პატივს სცემენ და ცხოვრობენ სიმართლით”.

შემდეგ დასახელდება კონკრეტული თანხა, რომელიც განქორწინების შემთხვევაში, ქმარს ცოლის სასარგებლოდ უნდა გადაეცეს. მინიმალური თანხა, ქალის პირველი ქორწინებისას 200 ზუზს შეადგენდა, ხოლო განქორწინებულ, ან ქვრივ ქალთან ქორწინებისას კი - 100 ზუზს. საქმროს შეემლო ამ თანხის საკუთარი ნებით გაზრდა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში - შემცირება. ხელშეკრულებაში ხაზგასმით იყო მითითებული, რომ განქორწინებისას, ამ თანხის გადასახდელად, ქმარი მთელი თავისი ქონებით იყო პასუხისმგებელი. იგი მთელ თავის ქონებას მითითებული თანხის საგარანტიოდ აცხადებდა, თავის უკანასკნელ სამოსსაც კი. (“მთელი ჩემი ქონება, ტანისამოსიც კი, რომელიც მაცვია, ამ თანხის საგარანტიოდ ჩაითვალოს”. - აცხადებს საქმრო.)

პირველად საქორწინო ხელშეკრულებას “მოსეს ხუთწიგნულამდე” “ჰამურაბის კანონებში” ვხვდებით: “თუ კაცმა ცოლი ითხოვა, მაგრამ ხელშეკრულება არ დაუდო, ეს ქალი არ არის ცოლი” (მუხლი 128). საქორწინო ხელშეკრულებას ვხვდებით ემშუნას კანონებშიც (მუხლი 27): “თუ კაცი ცოლად წაიყვანს კაცის ასულს, მისი მამისა და დედის დაუკითხავად და არ დაუდებს ხელშეკრულებას მის მამასა და დედას, ერთი წელიც რომ იცხოვროს ქალმა მის სახლში, არ იქნება მისი ცოლი”.

როგორც ამ ორი ფრაგმენტიდან ვხედავთ, საქორწინო ხელშეკრულებას გააჩნია მხოლოდ ქორწინების, როგორც ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტის მნიშვნელობა. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ემშუნას კანონებში, სასიძო ხელშეკრულებას საცოლეს კი არა, მის დედ-მამას უდებდა, რაც ქალის პიროვნების უგულვებელყოფაზე მეტყველებდა, განსხვავებით ებრაული კანონმდებლობისაგან.

ქორწინება ისრაელში, როგორც წესი, დასაქორწინებელ პირთა თავისუფალ ნებაზე იყო დამოკიდებული, თუმცა არსებობდა შემთხვევები, როდესაც ქორწინება ვალდებულების, უფრო მეტიც - იძულების წესით ხორციელდებოდა.

შაქორწინო ხელშეკრულება, რჯულის მიხედვით, იდებოდა დასაქორწინებელ პირთა - საქმროსა და საცოლეს შორის. სწორედ ისინი წარმოადგენდნენ მხარეებს ამ ხელშეკრულებაში. თუმცა, ისმის კითხვა: რა როლი ენიჭებოდათ საქორწინო მოლაპარაკებაში ქალ-ვაჟის მშობლებს და განსაზღვრული იყო თუ არა საქორწინო ასაკი?! აღსანიშნავია, რომ უცოლო მამაკაცებს ებრაელები ალმაცერად უყურებდნენ, ამიტომ ყველა მამაკაცი სწრაფვოდა დაქორწინებას. ნაადრევი ქორწინება ქალებშიც მეტად მისაღები იყო, თუმცა სჯულში ზუსტად მითითებული არ იყო საქორწინო ასაკი. თუ საქორწინო ხელშეკრულებიდან - “ქტუბიდან” ვიმსჯელებთ, მამაკაცისთვის ეს ის ასაკი იყო, როდესაც დამოუკიდებლად, საკუთარი ძალებით შესწევდათ უნარი, მატერიალურად უზრუნველყოთ თავისი მომავალი ოჯახი (“მე ვიმუშავებ შენთვის, პატივს გცემ და უზრუნველყოფ ყველა იმ აუცილებლით, როგორც უზრუნველყოფენ ისრაელიანი მამაკაცები თავიანთ ცოლებს”). თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ლევიანთა შტოს მამაკაცებს უფლის სამსახურში ჩადგომა 20 წლიდან ევალებოდათ, სავარაუდოდ, სწორედ ეს შეიძლება მივიჩნიოდ სრულწლოვანების ასაკად (“ეს არის ლევიანთა წესი: “ოცი წლიდან მოყოლებული უნდა შეუდგნენ სადღესასწაულო კარვის სამსახურს”. რიცხვნი თავი 8:24). მივდივართ დასკვნამდე, რომ ებრაელი მამაკაცის საქორწინო ასაკი დაახლოებით 20-22 წელი იყო. რაც შეეხებათ ებრაელ ქალებს, მივიჩნევთ, რომ მათი საქორწინო ასაკობრივი ზღვარი გაცილებით დაბალი იყო. თავარია, იგი ფიზიოლოგიურად მზად ყოფილიყო ცოლ-ქმრული ურთიერთობისთვის.

დასაქორწინებელი ქალ-ვაჟის მშობელთა ნების შესახებ არც საქორწინო ხელშეკრულებაში და არც თვით რჯულშია რაიმე ნათქვამი. თუმცა, ცხადია, ორივე მხრიდან მშობლები თანახმანი უნდა ყოფილიყვნენ ქორწინებაზე და აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი წინასაქორწინო მოლაპარაკებებში. მათი როლი წინა პლანზე გამოდიოდა მაშინვე, როცა

ქორწინების დროს თავს იჩენდა გარკვეული გართულებები და გაუგებრობები. მაგალითად, ქორწინების შემდეგ ქმრის მიერ ქალის ცილისწამების შემთხვევაში, მისი ქალწულების სადაო საკითხად ქცევის დროს, მოდავე მხარეები სასამართლოს მიმართავდნენ. სადაც ქალის მამა, სასამართლო პაექრობის დროს, ერთ-ერთ მთავარ ფიგურად ითვლებოდა (“ადგეს ამ ყმაწვილი ქალის დედ-მამა და გამოუტანოს მისი სიქალწულე ქალაქის უხუცესებს კარიბჭესთან. უთხრას ყმაწვილი ქალის მამამ უხუცესებს: ეს ჩემი ასული ამ კაცს მივათხოვე ცოლად, მან კი შეიძულა, აჰა ცილს სწამებს მას, ამბობს: ქალწული არ აღმოჩნდაო შენი ქალიშვილი”. II რჯული თავი 22). ამავე მუხლიდან ირკვევა, რომ ქალის გამართლების შემთხვევაში, ქორწინება არ ირღვევა, ქმარს კი სიცოცხლის ბოლომდე განქორწინების უფლება წაერთმეოდა და სიმამრის სასარგებლოდ 100 ვერცხლი დაეკისრებოდა.

სხვა მუხლის მიხედვით, ქალის მშობლები ქორწინების ბედს ერთპიროვნულად წყვეტდნენ. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ადგილი ჰქონდა ქალწულის შეცდენას. ამ დროს საქალწულე ურვადის გადახდის გარდა, შემცდენელს ქალზე უპირობო ქორწინება ეკისრებოდა. თუმცა, კანონი ქორწინების ბედს მთლიანად ქალის მამის ნებას უქვემდებარებდა (“თუ ქალის მამა წინააღმდეგ შეიქმნება და არ მიათხოვებს, საქალწულო ურვადის საფასური ვერცხლი უნდა გადაუხადოს”. გამოსვლაა თავი 22:15)

მოსეს რჯულის მიხედვით, სიძის მშობლების როლზეც გამოგვაქვს გარკვეული დასკვნები. მაგალითად, ყმაქალზე თავისი ვაჟიშვილის დაქორწინების დროს, მამა კვლავაც ინარჩუნებდა უფლებას ვაჟიშვილისთვის სხვა ყმაქალიც მოეყვანა ცოლად. ამრიგად, ვაჟიშვილის ქორწინებაში იგი აქტიურად იყო ჩაბმული, თუმცა საბოლოო სიტყვა და არჩევანი მაინც საქმროს ეკუთვნოდა. ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ძნელი გასაგები არაა, რა როლს თამაშობდნენ შვილების ქორწინებაში მშობლები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. “Пятикнижие и Гафтарот” д-р Й.Герц Москва 1999 г.
2. “Пятикнижие Моисево или Тора” проф. Брановер 1993 г. Москва
3. “Тора” равин Гиршю Иерусалим 1994 г.
4. “Еврейское право” проф. М.Элон 1998 г.
5. “ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში” ლ. შოშიაშვილი 2003 წ.

მიღებულია: 12.11.2003